ვაგნერი და J.M.W.L. ლუქსემბურგის წინააღმდეგ

Wagner and J.M.W.L. v. Luxembourg

№ 76240/01

28 ივნისი, 2007 წ.

წინამდებარე საქმე ეხებოდა სახელმწიფოს მიერ სხვა ქვეყანაში მომხდარი შვილად აყვანის არაღიარებას, რამაც გამოიწვია კონვენციის დარღვევა. მომჩივანი იყო ლუქსემბურგის მოქალაქე, ქ-ნი ჯეანა ვაგნერი და მისი ნაშვილები შვილი (J.M.), რომელიც დაიბადა პერუში და ახლა დედასთან ცხოვრობს. ქ-ნ ვაგნერს ასევე ჰყავდა ოთხი შვილი. პერუს სასამართლოს 1996 წლის გადაწყვეტილებით, ქ-მა ვაგნერმა შვილად აიყვანა სამი წლის J.M., რომელიც გამოცხადებული იყო მიტოვებულად. 1997 წელს ქმა ვაგნერმა მიმართა ლუქსემბურგის სასამართლოს შვილად აყვანის აღიარების შესახებ, რათა J.M.-ს მიეღო ლუქსემბურგის მოქალაქეობა. ლუქსემბურგის სასამართლომ უარი განუცხადა ქ-ნ ვაგნერს პერუს სასამართლოს გადაწყვეტილების აღიარებაზე, რადგან ლუქსემბურგის კანონმდებლობით, შვილად აყვანა არ შეეძლო მარტოხელა ქალს. ქ-ნი ვაგნერის მიმართვა ზემდგომი სასამართლო ინსტანციებისათვის უშედეგო აღმოჩნდა. ვინაიდან ლუქსემბურგის სასამართლოების უარი, ეღიარებინათ პერუს სასამართლოს გადაწყვეტილება შვილად აყვანის შესახებ, გამომდინარეობდა ლუქსემბურგის კანონმდებლობიდან, რომელიც უკრძალავდა დაუქორწინებელ ადამიანს შვილის აყვანას. ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ ასეთი აკრძალვა იყო ჩარევა მომჩივანთა ოჯახურ ცხოვრებაში.

ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ ევროპაში არსებობს კონსენსუსი დაუქორწინებელ ადამიანთა შვილად აყვანის უფლებასთან მიმართებით. ევროპული სასამართლოს აზრით, პერუს სასამართლოს გადაწყვეტილების არაღიარებამ ლუქსემბურგში არ გაითვალისწინა შექმნილი სოციალური რეალობა. ევროპული სასამართლოს პოზიციით, ვინაიდან ლუქსემბურგის სასამართლოებმა ოფიციალურად არ დაადასტურეს პერუში მომხდარი შვილად აყვანის ფაქტით შექმნილი ოჯახური კავშირების არსებობა, ეს კავშირები სრულყოფილად ვერ განხორციელდებოდა ლუქსემბურგში. ამის შედეგად მომჩივნებს შეექმნათ დაბრკოლებები ყოველდღიურ ცხოვრებაში, ხოლო ბავშვი არ იყო სამართლებრივად დაცული, რაც უზრუნველყოფდა მის სრულ ინტეგრირებას მშვილებლის ოჯახში. საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესები უნდა სარგებლობდეს

უპირატესობით სხვა ინტერესებთან შედარებით. აქედან გამომდინარე, ლუქსემბურგის სასამართლოებს არ შეეძლოთ პერუს სასამართლოს გადაწყვეტილების შედეგად შექმნილი სამართლებრივი მდგომარეობის უგულებელყოფა, რაც შეესაბამებოდა მომჩივნების ოჯახური ცხოვრების ინტერესებს.

შესაბამისად, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა მე-8 მუხლის დარღვევა.